REDEMOS

RECONFIGURING EU DEMOCRACY SUPPORT. TOWARDS A SUSTAINED DEMOS IN THE EU'S EASTERN NEIGHBOURHOOD

პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 1

დემოკრატიის ხელშეწყობის ტენდენციები და მოდელები ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში 2005 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში

მარინა რაბინოვიჩი და სტივენ კიმელი

2025 წლის აპრილი

Funded by the European Union

The REDEMOS project has received funding from the European Union's Horizon Europe research and innovation programme under grant agreement No 101061738. The Associated Partner University of Surrey has received funding from UK Research and Innovation (UKRI) under the UK government's Horizon Europe funding guarantee under grant number 10040721. The Associated Partner University of St. Gallen has received funding from the Swiss State Secretariat for Education, Research and Innovation (SERI). Views and opinions expressed are, however, those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union, UKRI and SERI. Neither the European Union nor UKRI or SERI can be held responsible for them.

ზოგადი მიმოხილვა

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სტაბილურად იზრდებოდა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ექვსი ქვეყნის განვითარების (ODA/ოგდ) მიზნით გაწეული ოფიციალური დახმარების მოცულობა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ერთობლივად არიან ODA-ს მსოფლიოში ყველაზე დიდი დონორები, ვერ ახერხებენ დახმარების ეფექტურ კოორდინირებას დონორების სიმრავლისა და მათი პრიორიტეტების სხვადასხვაობის გამო. **დემოკრატიის განვითარებისთვის თანმიმდევრული დახმარების გაწევა განსაკუთრებით რთული ამოცანაა,** რადგან დემოკრატიის განვითარების მხარდაჭერა საკმაოდ წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და თან ამ რეგიონში დიდია რუსეთიდან მომდინარე დესტაბილიზაციის გავლენა. **დემოკრატიის მხარდაჭერის ეფექტურად მართვისთვის საჭიროა ზოგადად გარკვევა დემოკრატიულ მოდელებსა და მათ კავშირში ისეთ ცნებებთან,** როგორიცაა ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და გენდერული თანასწორობა.

ამ საკითხების უკეთ გასაგებად REDEMOS-ის კვლევითმა ჯგუფმა გააანალიზა დემოკრატიის დაფინანსების მოდელები ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში, რომლებიც ეფუძნება 2005-2022 წწ. პერიოდში დემოკრატიის მხარდასაჭერად განხორციელებული 1,474 პროექტის მონაცემთა ბაზას. ეს მონაცემები მოიცავს მაჩვენებლებს, რომლებიც ასახავს ევროკავშირის ინსტიტუტების (184.25 მილიონი აშშ დოლარი), ევროკავშირის წევრი ქვეყნების (146.62 მლნ აშშ დოლარი), აშშ-ის ($139.07 მილიონი აშშ დოლარი) და საერთაშორისო ორგანიზაციების ($26.33 მილიონი აშშ დოლარი) წვლილს. ანალიზისას დემოკრატიის კლასიფიცირება მოხდა ექვსი კატეგორიის მიხედვით: საარჩევნო, ლიბერალური, მონაწილეობითი, ეგალიტარული, მშვიდობის მშენებლობის და ფემინისტური. განხილული იყო ასევე კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის სფეროების დაფინანსება.

მიღებულმა შედეგებმა ნათლად აჩვენა, რომ **ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში დემოკრატიის დახმარების ეფექტურობის მაქსიმალურად გასაზრდელად** საჭიროა დონორების კოორდინაციის გაუმჯობესება, ანგარიშგების სტანდარტების შემოღება და პრიორიტეტულ სფეროებში უწყვეტი თანამშრომლობა.

ძირითადი დასკვნები

- დემოკრატიის მხარდაჭერის ანალიზს **ართულებს OECD-ის ბიბლიოთეკაში პროექტების დასახელებისა და აღწერილობების ერთიანი სტანდარტის არ არსებობა**. ამას ემატება ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების ანგარიშგების შეუსაბამობა. ზოგ პროექტში ნათლად არის წარმოდგენილი დაფინანსების საზომები, ზოგში კი ეს ან საკმაოდ ბუნდოვნადაა აღწერილი, ან საერთოდ არ არის მოცემული, რაც მკვლევარებსა და პოლიტიკის შემქმნელებს ურთულებს პროექტების აქტუალურობისა და ეფექტურობის შეფასებას.
- **ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში დემოკრატიის მხარდასაჭერად დაფინანსება 2005-2022 წწ. პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა**: ევროკავშირის დახმარებამ პიკს 2015 წელს მიაღწია – 23.7 მილიონი აშშ დოლარი, ევროკავშირის წევრი ქვეყნების დახმარების რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი იყო 2021 წელს – ჯამში, 22,2 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო აშშ-ის დახმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 2020 წელს – 20.3 მილიონი აშშ დოლარი. ასეთი პროგრესი იძლევა ინიციატივების გაფართოების შესაძლებლობებს, მაგრამ იმავდროულად თავს იჩენს დონორთა კოორდინაციასთან დაკავშირებული გამოწვევები, რადგან დაფინანსების პრიორიტეტების შეცვლა და დემოკრატიულ მოდელებში არსებული განსხვავებები საჭიროებს უკეთეს კოორდინაციას, რათა თავიდან იქნეს აცილებული დუბლირება და მაქსიმალურად გაიზარდოს მიღებული შედეგი.
- მიუხედავად იმისა, რომ 2005-2022 წლებში ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში დემოკრატიის მხარდაჭერის პროექტების საერთო რაოდენობა 1000-ს აღემატებოდა, მათგან მხოლოდ 65-მა მიიღო 1 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ოდენობის დაფინანსება. **ამ პროექტების უმეტესობა იყო მოკლევადიანი და ფრაგმენტარული ხასიათისა, აკლდა მდგრადობა, განსაკუთრებით, საარჩევნო და ფემინისტური თვალსაზრისით,** რაც საეჭვოს ხდის ამ პროექტების გრძელვადიანი ზემოქმედების პერსპექტივას და უწყვეტი ვალდებულების საჭიროებას საარჩევნო ციკლებსა და კრიზისული ინტერვენციის ზომებს მიღმა.
- მიუხედავად იმისა, რომ ფართოა საარჩევნო დემოკრატიის მოდელების სპექტრი, მათ შორის საარჩევნო სამართალი, პარტიების დაფინანსება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება, არჩევნების მონიტორინგი და ინსტიტუციური შესაძლებლობები, **ევროკავშირისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისგან საარჩევნო მხარდაჭერის დაფინანსება აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში 2005-2022 წლებში იყო მინიმალური და იშვიათად აღემატებოდა წელიწადში 1 მილიონ აშშ დოლარს**. რამდენჯერმე იყო მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ძირითადად უკავშირდებოდა უკრაინის არჩევნებს, რაც კარგად აჩვენებს, რამდენად აუცილებელია უფრო აქტიური თანამშრომლობა, კერძოდ, არჩევნებში რუსეთის ჩარევის შეკავების საქმეში.
- დემოკრატიის მხარდასაჭერად ევროკავშირის დახმარების ანალიზი ცხადყოფს რაოდენ რთულია და რამდენ მოდელს მოიცავს დაფინანსების არეალი, რომელიც აბალანსებს სტრატეგიულ და რეაქციულ მიდგომებს, როდესაც დონორები ეგუებიან პოლიტიკურ მოვლენებს და ამავდროულად ინარჩუნებენ გრძელვადიან ჩართულობას დემოკრატიის სხვადასხვა მოდელის ფარგლებში.

როგორი პოლიტიკა უნდა გატარდეს

რეკომენდაციები

2005-2022 წლებში OECD-ის ბიბლიოთეკაში რეგისტრირებული 1,474 პროექტის ემპირიული ანალიზის საფუძველზე REDEMOS-ი გთავაზობთ პოლიტიკასთან დაკავშირებულ შემდეგ რეკომენდაციებს:

- მონაცემთა მოცულობის ერთიანი სტანდარტების **დანერგვა** ევროკავშირისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ განხორციელებული დემოკრატიის მხარდაჭერის პროექტებისთვის, რომელთა შესახებ ინფორმაცია შეტანილი იქნება OECD-ის ბიბლიოთეკაში, ასევე მოხდება მათი კლასიფიკაცია.

- დაფინანსების პრიორიტეტების უფრო მჭიდრო თანხვედრისა და დემოკრატიის ხელშეწყობის არსებული პროექტების უკეთესი კოორდინაციის **უზრუნველყოფა** ევროკავშირს, მის წევრ სახელმწიფოებსა და ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში მოქმედ სხვა სუბიექტებს შორის.

- ევროკავშირისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ჩართულობის **გაზრდა** ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნების საარჩევნო მოდელში, კერძოდ, საარჩევნო პროცესის ციფრული საფრთხეების მიმართ მდგრადობის გაუმჯობესება.

- ევროკავშირისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაძლებლობების **კვლევა** დემოკრატიის მხარდაჭერის უწყვეტობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, შეფასებების თანახმად, ასეთი დახმარება ხელს უწყობს მხარდაჭერის ღონისძიებების ეფექტურობასა და გრძელვადიან ზეგავლენას.

- "U-LEAD With Europe" პროგრამის ფარგლებში უკრაინის დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების მხარდასაჭერად მრავალი დაინტერესებული მხარის საქმიანობის **განხილვა**, როგორც პოტენციური მოდელისა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში და მის ფარგლებს გარეთ პრიორიტეტული რეფორმების გრძელვადიანი მხარდაჭერისთვის.

- ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში ევროკავშირისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ჩართულობისთვის აუცილებელი პირობა **არ უნდა იყოს** გრძელვადიანი მიდგომები და უწყვეტობა. პროექტების გრძელვადიან პერსპექტივაში შესაბამისობისა და პოტენციური წვლილის დასადგენად უნდა გამოიყენებოდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება.

მთლიანი კვლევა – **REDEMOS-ის პოლიტიკის დოკუმენტი: ევროკავშირის, წევრი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების ტენდენციები, მოდელები და კოორდინაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში** – ხელმისაწვდომია ბმულზე: https://redemos.eu/resources/publications/policy-papers /

REDEMOS: REconfiguring EU DEMOcracy Support.
Towards a sustained demos in the EU's Eastern Neighbourhood

REDEMOS- 101061738
HORIZON-CL2-2021-DEMOCRACY-01-04

Dr Mădălina Dobrescu, NTNU
info@redemos.eu

redemos.eu @REDEMOS_eu REDEMOS Horizon Europe Project